



შპს “ბები ლაინი”

საიდენტიფიკაციო კოდი: 205177495

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობა	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8
1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. მომზადების საფუძველი	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები	9
3.2. სავაჭრო მოთხოვნები	9
3.3. გადახდილი ავანსები	9
3.4. მარაგები	10
3.5. ძირითადი საშუალებები	10
3.6. ძირითადი საშუალებების ცვეთა	10
3.7. სავაჭრო ვალდებულებები	10
3.8. საგადასახადო ვალდებულებები	11
3.9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11
3.10. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	11
3.11. შემოსავლის აღიარება	11
3.12. ხარჯების აღიარება	11
4. მოგების გადასახადი	12
5. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	12

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ბეიბი ლაინი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებზე ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების - "მსს ფასს" სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული "მსს ფასს" სტანდარტის შესაბამისად.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება „მსს ფასს“ სტანდარტის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 18 სექტემბერს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

/ლარი/

აქტივები		
მიმდინარე აქტივები:	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული	4951	3413
საბანკო ანგარიში	57729	39906
დებიტორული დავალიანება	1707775	1692728
საექვო ვალების რეზერვი	32678	33991
სულ დებიტორული დავალიანება	1675097	1658737
სასაქონლო მარაგები	683623	710204
სხვა მარაგები	6945	8171
წინასწარ გაწეული ხარჯები	0	0
სხვა მისაღები თანხები	21715	11872
მთლიანი მიმდინარე აქტივები	2450060	2432303
ძირითადი საშუალებები:		
სატრანსპორტო საშუალებები	145933	183817
ავეჯი და ოფისის მოწყობილობები	54753	87553
სულ მოწყობილობა და დანადგარები	0	0
უძრავი ქონება	69778	74540
მიწა	0	0
მთლიანი ძირითადი საშუალებები	270464	345910
არამატერიალური აქტივები:		
ლიცენზია და პატენტი	30363	37563
გუდივილი	0	0
მთლიანი არამატერიალური აქტივები	30363	37563
მთლიანი აქტივები	2750877	2815776
ვალდებულებები და კაპიტალი		
მიმდინარე ვალდებულებები:	31.12.2019	31.12.2018
კრედიტორული დავალიანება	652037	554404
დარიცხული გადასახადები	27382	55767
დარიცხული ხელფასები	6071	0
ავანსად მიღებული შემოსავლები	0	0
მოკლევადიანი სესხები	1041871	960690
სხვა ვალდებულებები	195950	46606
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	1923311	1617466
გრძელვადიანი ვალდებულებები:		
გრძელვადიანი სესხები	129047	137845
გადავადებული გადასახადები	0	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	129047	137846
მთლიანი ვალდებულებები	2052358	1755312
კაპიტალი:		
საწესდებო კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება	585349	947294
სხვა რეზერვები	112970	112970
მთლიანი კაპიტალი	698519	1060464
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	2750877	2815776



ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

2019წ.

(ლარი)

საანგარიშგებო პერიოდი	
ნეტო ამონაგები	5545775
საქონლის გაყიდვიდან	5543669
მომსახურების გაწევიდან	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-
სხვა	2106
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3428326)
საწყისი მარაგები	(718375)
მარაგების შესყიდვა	3400519
გადამუშავების დანახარჯები	
საბოლოო მარაგები	690568
საერთო მოგება	2117449
სხვა შემოსავალი	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1062456)
ცვეთა და ამორტიზაცია	(95949)
საპროცენტო შემოსავალი:	6
საპროცენტო ხარჯი :	(85009)
იჯარის ხარჯი	(73387)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(587254)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1904049)
საოპერაციო მოგება	213400
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	-
მარაგები	-
სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(116903)
მიღებული დივიდენდები	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	74876
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(32583)
მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	138790
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-
სხვა	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1060464
ახალი აქტივების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(500735)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	698519

შპს „ბეიბი ლაინი“-ს დირექტორი:



/ რევაზ ჭელიძე

ფულადი სახსრების მოძრაობა 2019 წელი

	საანგარიშგებო პერიოდი 2019 წელი
საოპერაციო საქმიანობა	
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	5883497
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(4552637)
სხვა	(860823)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	470138
გადახდილი მოგების გადასახადი	(31252)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	438886
საინვესტიციო საქმიანობა	
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	(19917)
ფულადი სახსრების გასვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	0
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	2486
ფულადი სახსრების შემოსვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან	0
მიღებული პროცენტი	6
მიღებული დივიდენდები	0
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(17426)
საფინანსო საქმიანობა	
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განადგებიდან	
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	4063508
საკუთრების გადაცემის პირობის მქონე იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებების გადახდა	
სესხის ძირის გადახდა	(4045427)
სესხის პროცენტის გადახდა	(75266)
დივიდენდების გადახდა	(337871)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(402099)
კონვერტაციის ხარჯი	(7043)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	26404
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	43319
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	62680

შპს „ბიზიზ ლაინი“-ს დირექტორი



/რევაზ ჭელიძე/

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების გაანგარიშება

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანიის კაპიტალი განისაზღვრება წესდებით, ყოველივე ცვლილება წესდებაში ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

დაგროვილი მოგება/ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგება-ზარალს .

2019 წლის ბოლოს დაგროვილი გაუნაწილებელი მოგების თანხა 583349 ლარი შედგება 2017-2018 წლების გაუნაწილებელი მოგებიზგან .

	31.12.2019	31.12.2018
საწესდებო კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება	583349	947294
სხვა რეზერვები	112970	112970
მთლიანი კაპიტალი	698519	1060464
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	2750877	2815776

შპს "ბები ლაინი"-ს დირექტორი



/რევაზ ჭელიძე/

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბეიბი ლაინი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 06.10.2006 წ;

რეგისტრაციის # 01288

დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 01.12.2006 წლიდან;

სერტიფიკატის ნომერი: 078460

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. #6

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. #6

საიდენტიფიკაციო ნომერი: 205177495

დამფუძნებლები :

რევაზ ჭელიძე (3/5 01011009046), 60 % წილის მფლობელი.

დავით ერაძე (3/5 01024012567), 40% წილის მფლობელი

კომპანიის ყველა მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს დირექტორი: რევაზ ჭელიძე (3/5 01011009046)

შპს „ბეიბი ლაინის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არასპეციალიზირებული საბითუმო ვაჭრობა ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი სრულად: 46,900

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „ბეიბი ლაინის“ პირველ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს)

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩთვლით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;

- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“;

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს „მსს ფასს“-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე.

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების / ფულადი აქტივების / ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია ცალკე, პირდაპირი მეთოდით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნაშტი საგანგებო წლის ბოლოსთვის - 31 დეკემბერს არსებული ოფიციალური კურსით. კურსტაშორის სხვაობები აისახება მოგების და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების / ხარჯების ანგარიშში.

ვალუტა	სავალუტო გაცვლითი კურსები პერიოდის ბოლოს	
	31.12.2019	31.12.2018
აშშ დოლარი	2,8677	2.6766
ევრო	3,2095	3.0701

კომპანიის ფულადი სახსრები სალაროში დასაბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს:

	01.01.2019	31.12.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	4951	3413
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	57729	39906
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში USD	0	0
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში EUR	0	0
სულ ფულადი სახსრები		

3.2. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის საქონლის რეალიზაციის / მომსახურების შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად.

აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, საქონლის/მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით.

შემდგომში ისინი საჭირების შემთხვევაში წარმოდგენილება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობა მაშინ როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება რომ კომპანია ვერ შეძლებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვის ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3. გადახდილი ავანსები

კომპანიის ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის/მომსახურების შესყიდვის მიზნით და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს.

3.4. მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შემენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).
ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეტოდის გამოყენებით. ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ბარათებით და აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად.

3.5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმები ბასს 16 - და მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად.

საწარმო ძირითადი საშუალებების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც:

1. მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
2. საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივების ღირებულების საიმედოდ შეფასება.

საწარმომ ძირითად საშუალებებს თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით. თავდაპირველი შეფასების შემდეგ საწარმომ ძირითად საშუალებებს აღრიცხავს დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

საწარმომ ძირითადი საშუალებების აღიარებას წყვეტს:

ა) გაყიდვის/გასვლის შეთხვევაში ;

ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები:	31.12.2019	31.12.2018
სატრანსპორტო საშუალებები	249730	248738
დაგროვილი ცვეთა	103797	64921
სულ სატრანსპორტო საშუალებები	145933	183817
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	151171	143132
დაგროვილი ცვეთა	96418	55579
სულ ავეჯი და ოფისის მოწყობილობები	54753	87553
მოწყობილობა და დანადგარები	0	
დაგროვილი ცვეთა	0	
სულ მოწყობილობა და დანადგარები	0	0
უძრავი ქონება	119014	119015
დაგროვილი ცვეთა	49236	44475
სულ უძრავი ქონება	69778	74540
მიწა	0	0
მთლიანი ძირითადი საშუალებები	270464	345910

3.6. ძირითადი საშუალებების ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშზე თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ერთჯერადი გამოყენების ან/და სხვა საგნები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოთ შეფასება შეუძლებელია, ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გამიჯნულად სხვა მზმდინარე აქტივების შემადგენლობაში.

3.7. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მოწოდებასთან ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით. სავაჭრო სა სხვა კრედიტორული დავალიანება აღიარდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები.

3.8. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებას 31.12.2019 წლისთვის შეადგენს მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც აისახება პერიოდის ბოლოს და რომლის გადახდაც ხდება არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა. (დღე, გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი, მოგების გადასახადი ესტონური მოდელით და ა.შ.)

3.9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. სესხი აღირიცხება საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

3.10. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

კომპანიას კაპიტალში აქვს საქმიანობის შედეგად მიღებული გაუნაწილებელი მოგება, რომელიც ასახულია მის ბალანსში.

3.11. შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც:

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
 - შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
 - მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
 - შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა;
- შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით

3.12. ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

4. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან კომპანია გადავიდა მოგების გადასახადის კორპორაციული დაბეგვრის ესტონურ მოდელზე.

მოგების გადასახადის ახალი სისტემა არ ითვალისწინებს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, კომპანიები გადასახადს იხდიან მოგების განაწილების მომენტში, ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს განაწილებული მოგება წარმოადგენს. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც მფლობელებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად,

საგადასახადო ჩათვლა ვრცელდება 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მიმდინარე მოგების გადასახადზე. გადახდილი დივიდენდების მოგების გადასახადის აღიარება ხდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად იმისა, თუ როდის გადაიხდება ან რომელ პერიოდს ეკუთვნის აღნიშნული დივიდენდი.

5. დივიდენდი.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

6. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშის განმარტებით შენიშვნებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2018 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიაში არ ჰქონია ადგილი ისეთ მოვლენებს, რაც საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნებში მათ ასახვას.

„მსს ფასს“ სტანდარტზე კომპანიის გადასვლის თარიღია 2018 წელი